დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს „ბესიკ ნიპარიშვილი“ მრავალპროფილიანი სკოლა–გიმნაზია

შეფასების თარიღ(ებ)ი: 19 და 20 აპრილი, 2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10.05.2022წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ,,ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა - გიმნაზია,,
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232539269

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი კასპი
იურიდიული მისამართი	ქალაქი კასპი, ქუჩა გიორგი სააკაძე, N126
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი კასპი, გიორგი სააკაძის N126
საფოსტო ინდექსი	2600
დაწესებულების ვებ-გვერდი	http://www.skolagimnazia.ge/ka/index.html
დაწესებულების ელ-ფოსტა	gimnaziakaspi@gmail.com

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0 371 22 47 83
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ბესიკ ნიპარიშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	5 99 36 51 33
ელ-ფოსტა	gimnaziakaspi@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის 2022 წლის 23 მარტის ბრძანება MES 1 22 0000301530 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან სკოლა - გიმნაზიაში ვიზიტის შესახებ “.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	19 და 20 აპრილი, 2022წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ჯაში
წევრი (სახელი, გვარი)	იზაბელა იოსელიანი
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.7.*	*ვინაიდან, შინაგანაწესი საჯარო დოკუმენტია, სკოლამ უნდა შეიმუშავოს კორექტირებული ვარიანტი ყველა ცვლილების გათვალისწინებით (მათ შორის, ახალი რედაქციით შინაგანაწესი უნდა აიტვირთოს სკოლის ვებ.გვერდზეც).*
	2.9	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ბრძანებები შედგენილ იქნას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით.*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	შპს „ბესიკ ნიპარიშვილი მრავალპროფილიანი სკოლა–გიმნაზია“, თავისი შინაარსით და საქმიანობით, ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეების სამშობლოს მოყვარულ და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ინდივიდებად ჩამოყალიბებას. სწორედ სკოლის შენობის ნულოვან სართულზე განთავსებული ,,ოკუპაციისა და კასპის რაიონის მოსახლეობის რეპრესირებულ ოჯახთა მუზეუმი,,, საშუალებას აძლევს სკოლის პედაგოგებს და ადმინისტრაციას, მუზეუმის ეგიდით ჩაატარონ თემატური ღონისძიებები, პროექტები თუ კვირეულები. მნიშვნელოვანი თარიღების შესაბამისად დაგეგმონ სხვადასხვა აქტივობები, რაც, საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნის გარდა, მოსწავლეებში აქტიური სამოქალაქო პოზიციის განმტკიცებას უწყობს ხელს. მიმდინარე წელს საფუძველი ჩაეყარა სკოლის ახალ, საქველმოქმედო საქმიანობასაც. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ სოციალურად დაუცველ 60- მდე სხვადასხვა სკოლის მოსწავლეს უსასყიდლოდ შესთავაზა წრეობრივი მუშაობა საკვირაო სკოლის ფარგლებში (მათ შორის, ინგლისური და რუსული ენების, ლოგიკის და ა.შ.).

.

დაწესებულების მისია	სკოლის მისია და უპირველესი მიზანია თითოეული მოსწავლის ინტელექტუალური და მორალურ-ზნეობრივი აღზრდა. მისმა განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად ათვისებას, მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების, სამართალშემწყნარებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, ეროვნული ღირებულებების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას. სკოლა-გიმნაზია ზრუნავს იმისათვის, რომ მისმა კურსდამთავრებულმა შეძლოს ქვეყნის ინტერესების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტური გამოყენება. სკოლა-გიმნაზიის მისიაა, აღზარდოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების მქონე პიროვნება, რომელიც იზრუნებს საკუთარი უნარების უწყვეტ განვითარებაზე. სკოლა-გიმნაზია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ცდილობს, კურსდამთავრებულები სრულფასოვნად ფლობდნენ გუნდური მუშაობის პრინციპებს, გამოუმუშავდეთ საკუთარი ვალდებულებების გააზრებისა და სხვა პიროვნებისადმი პატივისცემის განცდა. სასწავლებლის მიზანია საერთაშორისო კავშირების დამყარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი სრულყოფა და მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	☒	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 280	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ბესიკ ნიპარიშვილი მრავალპროფილიანი სკოლა–გიმნაზიის“ სასკოლო-სასწავლო გეგმა განხილული და დამტკიცებული იქნა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე N1, 2021 წლის 7 სექტემბერს. სასკოლო-სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' (შემდგომში - ესგ) მოთხოვნებს, სკოლის მისიას და შედგება: **სკოლის მისია, მიზნები და ამოცანები. მისია საფეხურების მიხედვით** - სკოლის მისია (იხ. ზემოთ). რაც შეეხება საფეხურების მიხედვით მისიას - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის - განაცხადი მოიცავს მოსწავლის განვითარების პერსპექტივას და იმ მთავარ პრინციპებს/მიზნებს, რომლებიც თითოეული საფეხურის ფარგლებში უნდა იყოს მიღწეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი და დღის რეჟიმი - სასწავლო წლის დაწყების და დასრულების ვადები, არდადეგების ხანგრძლივობა, უქმე დღეების ჩამონათვალი - შესაბამისობაშია საჯარო სკოლებისათვის განსაზღვრულ თარიღებთან. სასწავლო კვირა ხუთდღიანია I – VIII კლასებისათვის, ხოლო 6 დღიანი - IX - XII კლასების მოსწავლეებისათვის და სწავლება შაბათ დღესაც ხორციელდება. ექსპერტები დაინტერესდნენ - სასწავლო კვირის გახანგრძლივება როგორ აისახებოდა მოსწავლეთა შედეგებზე, გარდა ამისა, კვირაში 1 (ერთი) არასასწავლო დღე, საკმარისი იყო თუ არა დასვენებისთვის. როგორც აღმოჩნდა, სასწავლო დღეებში საგაკვეთილო ცხრილის განტვირთვა, სავსებით მისაღებია როგორც მშობლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის (აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუირების პროცესში) და დადებითად აისახება მოსწავლეთა მიღწევებზე. **დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება და დღის რეჟიმი, დისტანციური სწავლების მონიტორინგი** - დისტანციური სწავლების რეჟიმი შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბერის №95/ნ ბრძანებაში - ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილ სარეკომენდაციო მონაცემებთან (გაკვეთილების ოდენობა და ხანგრძლივობა). როგორც ირკვევა, სკოლა ახორციელებს დისტანციური სწავლების მონიტორინგსაც, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას შემდეგი მიმართულებებით - ჩატარდა თუ არა დისტანციური გაკვეთილები დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით, განხორციელდა თუ არა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვა, აგრეთვე, დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა, დაცულია თუ არა ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა კლასებში - 20 ან 25 - ია (საფეხურების შესაბამისად). 2021–2022 სასწავლო წელს, მოსწავლეთა სიმცირის გამო, მუსიკის და სპორტის გაკვეთილები II, XI-XII კლასების მოსწავლეებს ჩაუტარდებათ ერთად (საფუძველი - ესგ, მუხლი 17, პუნქტი ,,9“). **საგნობრივი კათედრების მუშაობა -** სკოლაში საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნილია შემდეგი კათედრები: 1. ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების; 2. ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების; 3. უცხოური ენების; 4. დაწყებითი კლასების, ესთეტიკისა და სპორტის. კათედრების ფუნქციები, მოწყობა, კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები, შეხვედრების მინიმალური ოდენობა (კათედრის სხდომები), სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულება, სადაც საგნობრივი კათედრების მუშაობის მიმართულებებია: • საგნობრივი ჯგუფების მუშაობის კოორდინაცია; • გამოცდილებების გაზიარება; • სახელმძღვანელოებისა და სასწავლო რესურსების შერჩევა; • პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; • პროფესიული ღირებულებები და ვალდებულებები; • ახალი მიდგომები. გარდა ამისა, სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის შეხვედრის წარმართვის დაკვირვების ფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს დამსწრე პირს შეაფასოს კათედრის ხელმძღვანელის ქმედებები (მაგალითად, შეხვედრის ორგანიზების მიმართულებით - გაფრთხილებული ჰყავს თუ არა მასწავლებლები, მომზადებული აქვს თუ არა ოთახი, ტექნიკური აღჭურვილობა და სხვა საჭირო რესურსები), აგრეთვე, სხდომის წარმართვის ფორმატი (უზრუნველყოფს შეხვედრის გეგმის მიხედვით წარმართვას. გამოყოფს სათანადო დროს დისკუსიისთვის, იცავს დროის ლიმიტს),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	შეხვედრის დასრულებისას აჯამებს თუ არა სხდომაზე განხილულ საკითხებს და ა.შ. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ექსპერტები გაეცნენ დაწყებითი კლასების, ესთეტიკისა და სპორტის კათედრის სხდომის (N2, 30.12.2021წ.) და ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის სხდომის (N2, 30.12.2021წ.) ოქმებს. როგორც ირკვევა, შეხვედრები ჩატარდა სემესტრის დასრულების შემდგომ და საკითხები ემსახურებოდა პირველი სემესტრის შედეგების განხილვას და მეორე სემესტრის სამოქმედო გეგმას, ასევე, პირველი სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. **დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება** - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება II კლასის მოსწავლეებს უნარების გაძლიერების მიზნით, და X კლასის მოსწავლეებს მათემატიკაში დაგროვილი ცოდნით გაჩენილი დეფიციტის გამო, სთავაზობს რემედიაციულ სწავლებას დამატებითი გაკვეთილების სახით, რაც ხორციელდება არასაგაკვეთილო დროს. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მშობლებთან და X კლასის მოსწავლეებთან კომუნიკაციის საფუძველზე. გარდა ამისა, IX - X კლასების მოსწავლეთათვის ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის წრე და VI - VII კლასების მოსწავლეთათვის – ქსოვისა და ქარგვის წრე (II სემესტრში). საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთათვის შექმნილია ეკოკლუბი, ხოლო დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის – ბუნებისმეტყველებისა და ინგლისური ენის (II სემესტრი) კლუბები. XII კლასის მოსწავლეებს უტარდებათ აბიტურის გაკვეთილები, მათთვის სასურველ საგნებში. ვიზიტის მიმდინარეობისას, სკოლამ წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია წრეების და კლუბების აღწერილობის, ხანგრძლივობის, შინაარსის, მიზნების და საჭირო რესურსების თაობაზე. **მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა** - განხილულ იქნება ქვემოთ (ქვესტანდარტი 1.4.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს სკოლაში დაგეგმილია **წლიური გამოცდების** ჩატარდება შემდეგ საგნებში: VII კლასში – მოქალაქეობა (დისკუსიის ფორმატი) და ხელოვნება (ტესტური დავალება ე.წ. ,,ღია“ შეკითხვებით); VIII კლასში – ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი დავალება) და მათემატიკა (ტესტური დავალება ე.წ. ,,ღია“ შეკითხვებით); IX კლასში – საქართველოს ისტორია (დისკუსიის ფორმატი) და ხელოვნება (ტესტური დავალება ე.წ. ,,ღია“ შეკითხვებით); X კლასში – ქართული ენა და ლიტერატურა (წერითი სამუშაო) და სამოქალაქო განათლება (დისკუსია ან პრეზენტაცია – მოსწავლის არჩევით). მიმდინარე სასწავლო წელს XI კლასში წლიური გამოცდები არ ჩატარდება. ვინაიდან, წლიური გამოცდების შეფასებებს გავლენა აქვს წლიურ ქულაზე, ექსპერტები დაინტერესდნენ, როგორ ხორციელდება, მაგალითად, VII და IX კლასებში გამოცდის შეფასება, რომელსაც დისკუსიის ფორმატი აქვს. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, დისკუსიაში მონაწილე პირთა რაოდენობა (3-4 მოსწავლე) და დისკუსიის შეფასების რუბრიკები, საშუალებს აძლევს მასწავლებელს შეფასება ობიექტური, ვალიდური და გამჭირვალე იყოს. **სკოლის საათობრივი ბადე** განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული დატვირთვის ოდენობას ცალკეული კლასებისა და საგნების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სკოლა IV კლასის მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლ გეგმით განსაზღვრულ დამატებით სავალდებულო საგანს - რუსულ ენას. როგორც სკოლის დირექციასთან საუბრისას ირკვევა, სწორედ მოსწავლეთა მშობლების მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა ზემოაღნიშნული ცვლილება ბადეში. თუმცა, მშობელთა პოზიცია დოკუმენტირებული არ არის და ექსპერტების ერთ-ერთი რეკომენდაციის სწორედ ამ მიმართულებით იყო გაცემული, რომ განხორციელებულიყო მშობელთა მოთხოვნის წერილობითი დადასტურება. გარდა ამისა, ვინაიდან IV კლასის ბოლოს (რათა განისაზღვროს V კლასში, რომელ უცხოურ ენას დაეუფლებიან მოსწავლეები) მოსწავლეებს (მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს) სკოლამ ისედაც უნდა შესთავაზოს მეორე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	უცხოური ენის არჩევა, გამოკითხვა სავალდებულო ხასიათს უნდა ატარებდეს (ესგ, მუხლი 48, პუნქტი ,,3”). ექსპერტების ზემოაღნიშნული პოზიცია გაზიარებულ იქნა სკოლის ადმინისტრაციის მიერ. მშობლები ინტერვიუირებისას ადასტურებენ, რომ IV კლასში რუსული ენის დამატება, სწორედ მათი მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა. ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველია ესგ, მუხლი 48, პუნქტი ,,4“ - ,,კერძო სკოლები უფლებამოსილები არიან მეორე უცხოური ენის სწავლება დაიწყონ ნებისმიერი კლასიდან,,. თუმცა, სკოლამ არ გაითვალისწინა ესგ-ს მეორე რეგულაცია (მუხლი 56), საათობრივი ბადის III მოდელის-ის არჩევის დროს – ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება თავისი შეხედულებისამებრ და სამინისტროში წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას”. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, სკოლამ ვიზიტის მიმდინარეობისას წერილობით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (N35, 20.04.2022წ.) თხოვნით, განხილულიყო სკოლის 2021-2022 წლის საათობრივი ბადე. **გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და მათი ნუსხა -** კლასების და დისციპლინების მიხედვით არის წარმოდგენილი. როგორც სასკოლო-სასწავლო გეგმიდან ირკვევა - სახელმძღვანელოებს ირჩევენ მასწავლებლები/კათედრები, პედაგოგიური საბჭო კლასების, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან პედაგოგების მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხას. კლასის დამრიგებელი, მისი მუშაობის პრინციპები და მოვალეობები - ესგ-ს შესაბამისად არის წარმოდგენილი და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიც არის კლასის დამრიგებლის მუშაობის მიზნები, სადამრიგებლო საათი - თემები და მიმართულებები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სწორედ სადამრიგებლო საათის ფარგლებში უნდა ჩატარდეს აქტივობები პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	დაგეგმვის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, მოწვეულ იქნას სათანადო სტუმრები, ან მოეწყოს გასვლითი შეხვედრები. **ინკლუზიური განათლება** - დეტალურად განხილული იქნება ქვესტანდარტში 1.3.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; კათედრის დებულება; კათედრის შეხვედრის წარმართვის დაკვირვების ფორმა; კათედრების სხდომის ოქმები; წრეები და კლუბები - მიზნები, სამუშაო გეგმები, განრიგი, აღწერილობა, რესურსები; წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (N35, 20.04.2022წ.) – 2021-2022 წლის საათობრივი ბადის შეთანხმების თაობაზე; სკოლის დირექტორის მიმდინარე წლის 20 აპრილის ბრძანებები N29, N31 და N32 - სასკოლო სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილების თაობაზე. ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ინტენსიურად მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. პროცესის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ სკოლაში დასაქმებულნი არიან ,,ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შერჩეული საგნობრივი ექსპერტები, რომლებიც ამ მიმართულებით სკოლის დანარჩენი პედაგოგების კონსულტირებას და მხარდაჭერას უზუნველყოფენ. პედაგოგები კათედრების სხდომებზე, ასევე, სამუშაო შეხვედრების დროს იხილავენ სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ გამოწვევებს და გეგმავენ/განსაზღვრავენ შემდგომ ნაბიჯებს. ინტერვიუირებისას პედაგოგები და რაც მთავარია, მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ სწავლების პროცესი უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში ვხვდებით კომპლექსური დავალებების ნიმუშებს (I-IX) კლასი, და თემატურ გეგმებს (X-XII კლასი). შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ექსპერტებმა განიხილეს IV კლასის ბუნებისმეტყველების კომპლექსური დავალება, სადაც ვხვდებით თემის სწავლებასთან დაკავშირებულ გრძელვადიან მიზანს, სამიზნე ცნებას და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. დეტალურად არის ასახული კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები). განსაზღვრულია კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები და ა.შ. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს აბიტურის საათებს, რომლის ფარგლებში ინტენსიურად მიმდინარეობს მოსწავლეთა მხარდაჭერა ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების პროცესში. სკოლის დირექციის განმარტებით, მაღალია ეროვნულ გამოცდებში სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული მოსწავლეების წილიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; კომპლექსური დავალების ნიმუშები; თემატური გეგმები; ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით მომსახურებას წრეების და კლუბების სახით. ექსპერტების ყურადღება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	მიიქცია ინფორმაციამ კლუბის შესახებ, სახელწოდებით - ,,STEM პროექტების მოდელირება და კონსტრუირება.'' როგორც ირკვევა, კლუბის მიზანთა შორისაა: STEM-ის საგნების მიმართულებით აქტივობების და პროექტების განხორციელება, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება თანამედროვე ტექნოლოგიების როგორც გამოყენებაში, ასევე შექმნაში, ელექტრონულ კომპონენტებთან მუშაობის და პროგრამირების საბაზო უნარების შეძენა STEM აქტივობების და პროექტების განხორციელების პროცესში. ზემოაღნიშნულ კლუბში მოსწავლეთა ჩართულობას, უდავოდ, ძალიან დიდი სარგებელი აქვს როგორც ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესში, აგრეთვე, მოსწავლეებში კვლევითი უნარების ჩამოყალიბებაში, თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლების მიმართულებით და ა.შ. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით კლუბების წესდებებს, წრეების დროში გაწერილ სამუშაო გეგმებს და საჭირო რესურსებს, მშობლის განცხადების ფორმას - შვილის კონკრეტულ კლუბში გაწევრიანების თაობაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პროცესები სკოლაში ორგანიზებულად მიმდინარეობს. სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია ინკლუზიური განათლების შესახებ და სრულ შესაბამისობაშია ესგ-თი გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და მოიცავს მონაცემებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრების და გაცდენების, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლების თაობაზე. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმის ნიმუშიც. ამ ეტაპზე, სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე არ ირიცხება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; ინფორმაცია წრეები, კლუბების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: საკლასო დავალება, საშინაო დავალება, შემაჯამებელი დავალება. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი და VI-XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები), შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი და VI-XII კლასები). I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომელთა შორის ვხვდებით, როგორც ანალიტიკურ, ისე ჰოლისტურ რუბრიკებს. როგორც ირკვევა, რუბრიკებით ფასდება როგორც გარკვეული აქტივობები (ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ექსპერიმენტი, დამოუკიდებელი და წერითი სამუშაო და ა.შ), აგრეთვე, კონკრეტული დისციპლინები. ექპერტთა ყურადღება მიიქცია რუბრიკამ, რომელიც აფასებს პირველი კლასის მოსწავლეებს (აქცენტირება ხორციელდება უნარ-ჩვევების შეფასებაზე). მაგალითად, პირველი კლასის მოსწავლეების შემთხვევაში, მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ყურადღების საგანია მათი უნარები კითხვაში, წერაში თუ ზეპირმეტყველებაში. სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი. კერძოდ, შემაჯამებელი დავალების აღდგენა ხორციელდება გაცდენიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში. მობილობის შემთხვევაში, შემაჯამებელი დავალების აღდგენა ხდება სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე. შემაჯამებელი დავალების აღდგენა ხორციელდება იმავე, იდენტური ტიპის დავალებებით. გარდა ამისა, სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების ნიმუშები სოლო ტაქსონომიით, სამიზნე ცნებების შეფასების რუბრიკები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; შეფასების სქემები და რუბრიკები; კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების ნიმუშები; ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესს სკოლის მიერ შედგენილი რამოდენიმე დოკუმენტი არეგულირებს. კერძოდ, ,,გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობის მექანიზმები“. აღნიშნულ წესში განსაზღვრულია ადმინისტრაციია, კლასის დამრიგებლის მოვალეობები და ვალდებულებები. აგრეთვე, მშობლებთან მუშაობის ფორმები, მათ შორის, მშობელთა კრებების, სასკოლო და საკლასო ღონისძიებებში მონაწილეობის, ინდივიდუალური შეხვედრების თუ ღია გაკვეთილებზე მშობელთა დასწრების ძირითადი ასპექტები. მაგალითად, დოკუმენტის თანახმად, ღია გაკვეთილების დანიშნულებას წარმოადგენს: მშობლებისათვის ახალი საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	პროგრამების, სწავლების მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და პედაგოგის მუშაობის სტრატეგიების გაცნობა. სკოლის დირექციის აზრით, ღია გაკვეთილები ხელს უწყობს იმ კონფლიქტების თავიდან აცილებას, რომლებიც არაინფორმირებულობის გამო ჩნდება. აღსანიშნავია, რომ ღია გაკვეთილების შემდეგ, მშობლები გამოხატავენ საკუთარ შეხედულებებს, შენიშვნებსა და სურვილებს. სასკოლო-სასწავლო გეგმა, აგრეთვე, განსაზღვრავს კლასის დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს და მოვალეობებს და ავალდებულებს დამრიგებელს: იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, მინიმუმ თვეში ერთხელ მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა და წარმატებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია და ა.შ. სკოლის შინაგანაწესის XIX მუხლი არეგულირებს მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა უფლებებს. მაგალითად, მოსწავლის მშობელს უფლება აქვს: მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლისა და სკოლის ადმინისტრაციისაგან სასწავლო პროცესთან დაკავიშირებულ ნებისმიერ საკითხზე, ზეპირი ან წერილობითი ფორმით მოითხოვოს მოსწავლის შეფასება საგნების მიხედვით სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს, მოითხოვოს განმარტება მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით და ა.შ. მშობლები ინტერვიურებისას ადასტურებენ, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვს სკოლასთან. სკოლის ელექტრონული ჟურნალის პლატფორმაც (EduPage), საშუალებას აძლევს მათ მყისიერად მოიპოვონ მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობის მექანიზმები; სასკოლო-სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სკოლის შინაგანაწესი; ელექტრონული ჟურნალი - ხელშეკრულება ერთწლიან ლიცენზიაზე და შესაბამისი საგადახდო დავალება. ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი 16 პუნქტით არის წარმოდგენილი და ითვალისწინებს: ,,მასწავლებელთა პროფესიული ცოდნის გაღრმავების, მეთოდური დახელოვნების, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვისათვის პირობების შექმნას“ (პუნქტი 2), აგრეთვე, ,,მონიტორინგის ჩატარებას საგნობრივი სტანდარტების შესრულების მიმდინარეობაზე, შედეგებისა და მათი ინდიკატორების მიხედვით“ (პუნქტი 7), ,,მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით კლასის დამრიგებლების მიერ სამუშაო გეგმების შედგენა და მისი შესრულების მონიტორინგი,, (პუნქტი 11) და ა.შ. ინტერვიუირებისას, სკოლის დირექცია და პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენება პროცესების გაუმჯობესებისთვის. რადგანაც, პრაქტიკული კვლევა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, არის ერთ-ერთი საუკეთესო გზა იმისთვის, რომ განხორციელდეს სასკოლო-სასწავლო გეგმის შემდგომი გაუმჯობესება გამოვლენილი შედეგების საფუძველზე, სკოლას წარმოდგენილი აქვს კითხვარები, რომლებიც ემსახურება სკოლის გარემოს შეფასებას, მშობელთა ჩართულობის და კმაყოფილების კვლევას. 18 საკვლევი კითხვისგან შედგება მოსწავლეთათვის განკუთვნილი კითხვარი, რომელიც საკმაოდ დეტალურია და 5 დონიანი შკალით აფასებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან. სკოლის მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და მასწავლებლისთვის განკუთვნილი კითხვარები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია,, (ს/კ 232539269) მდებარეობს ქალაქ კასპში, გიორგი სააკაძის N126. სკოლის შენობა 3 სართულიანია. გარდა ამისა, შენობას აქვს ე.წ. ნულოვანი სართულიც, სადაც განთავსებულია ,,ოკუპაციისა და კასპის რაიონის მოსახლეობის რეპრესირებულ ოჯახთა მუზეუმი,,.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი, რომელზეც სკოლის შენობაა განთავსებული 2266,00 კვ.მ -ს მოიცავს. შენობის საერთო სასწავლო ფართი - 1504,03 კვ.მ-ს შეადგენს. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 2 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სკოლის უსაფრთხოების თანამშრომლისთვის განკუთვნილი კაბინეტი. II სართულზე 6 საკლასო ოთახია, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, კომპიუტერების კლასი (სივრცე), სადაც 4 კომპიუტერია განთავსებული, რომელიც გამოიყენება როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მიერ. III სართულზე 5 საკლასო ოთახი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისათვის განკუთვნილი ლაბორატორიები (ფიზიკის და ქიმია - ბიოლოგიის კაბინეტებში), ასევე, კომპიუტერული ლაბორატორია. ამ ეტაპზე, სკოლაში 13 კლასი ფუნქციონირებს (თითო პარალელი თითო კლასში, გარდა მეორე კლასისა, რომელიც 2 პარალელით არის წარმოდგენილი). **შენიშვნა:** სკოლის შენობის დათვალიერება განხორციელდა აზომვითი ნახაზის შესაბამისად, თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით. ანალოგიურად, წარიმართა სკოლის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსების შესწავლაც. გარდა ამისა, საქმეშია გარკვეული ფოტომასალაც.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქ კასპი, გიორგი სააკაძის N126.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**67.01. 47. 060**
კვ.მ.	**2266,00 კვ.მ**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	საჯარო რეესტრის ამონაწერი; სკოლის აზომვითი ნახაზი; ფოტომასალა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სკოლის ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში 13 კლასი ფუნქციონირებს. კლასებში განთავსებულია მოსწავლეთათვის განკუთვნილი მერხები და სკამები, მასწავლებლების მაგიდები, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარი. საკლასო ოთახებში და კაბინეტებში არსებული მერხების და სკამების რაოდენობა შეადგენს 238-ს. დანარჩენი 48 მერხი დასაწყობებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით; ხელშეკრულებები, საგადახდო დავალებები, სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი, სადაც მოსწავლეებს სთავაზობენ მაგიდის ჩოგბურთს (2 მაგიდა). გარდა ამისა, სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, სადაც ტარდება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები. მოედანზე მოსწავლეები თამაშობენ მინი ფეხბურთს, კალათბურთს და ფრენბურთს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით; სასაქონლო ზედნადებები; გარე სპორტული მოედნის მოწყობის/სამშენებლო სამუშაოების დამადასტურებელი საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომია) ლაბორატორიები, რომლებიც განლაგებულია ფიზიკისა და ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტებში. ლაბორატორიის ინვენტარი განთავსებულია კარადებში. ყველა კაბინეტს აქვს დიდი, ნათელი ფანჯრები, რაც ბუნებრივი განიავების საშუალებას იძლევა. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესები. მაგალითად, ქიმიურ ლაბორატორიაში ქცევის წესები ავალდებულებს ყველა მოსწავლეს გამოყენებამდე გაეცნოს ლაბორატორიაში მოქცევის წესებსა და უსაფრთხოების ტექნიკას, ყურადღებით გაეცნოს ყველა ინსტრუქციას. თუ რომელიმე ინსტრუქცია ან პროცედურა გაუგებარია, ჰკითხოს მასწავლებელს, სამუშაოს დაწყების წინ და ა.შ. ქიმიური ნივთიერებების შენახვის ზოგადი წესებიც მკაფიოდ არის გაწერილი და მათი დაცვის შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების ჩატარებას უსაფრთხოდ განაპირობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ნასყიდობის ხელშეკრულებები; ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით; ინტერვიუ შესაბამის პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. კერძოდ, ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტად. თითოეულ სართულზე განთავსებულია 2 სველი წერილი, პირველ სართულზე ადაპტირებული სველი წერტილია. სკოლა თბება ცენტრალური გათბობით. სკოლა დარეგისტრირებულია დამოუკიდებელ აბონენტად (სოკარ ჯორჯია გაზი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით; კომუნალური მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკა შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა ლიტერატურა, თემატურად არის განთავსებული თაროებზე. ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დათვალიერებულ იქნა როგორც სასკოლო სახელმძღვანელოები, ისე მხატვრული ლიტერატურა. როგორც აღმოჩნდა, სახელმძღვანელოები სათანადო წესით არის დამუშავებული - მინიჭებული აქვს შესაბამისი საინვენტარო ნომერი და აღრიცხულია რეესტრში. სკოლას შედგენილი აქვს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო ერთეულების გატანასთან, სარგებლობასთან და დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ბიბლიოთეკაში ქცევის წესებს. ბიბლიოთეკაში გაწევრიანება შეუძლიათ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს. გაწევრიანებისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკაში რეგისტრაციის გავლა, რისთვისაც წარდგენილი უნდა იქნეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და შეივსოს მკითხველის ბარათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	საიდენტიფიკაციო ნომრით. ამის შემდეგ, დაინტერესებულ პირს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის ნებისმიერი სერვისით. ბიბლიოთეკაში ქცევის წესებიც დეტალურია და ავალდებულებს მომხმარებელს ქცევას, რომელიც არ შეუშლის ხელს მკითხველს მუშაობაში. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პერიოდული გამოცემების შესყიდვის მიზნით - სკოლას გამოწერილი აქვს გაზეთი ,,ახალი განათლება“ და ,,ახალი განთიადი“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით; წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ხელშეკრულებები პერიოდული გამოცემების შეძენის თაობაზე. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ინტერვიუ ბიბლიოთეკართან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. გარდა ამისა, პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. კიბის უჯრედზე მოწყობილია ასაკეცი პანდუსები. შესაბამისად, სასკოლო გარემო სრულად არის ადაპტირებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 10 კომპიუტერია განთავსებული. გარდა ამისა, როგორც აღნიშნა, 4 კომპიუტერი დამოუკიდებელ სივრცეში არის განთავსებული, სადაც სკოლის თანამშრომელს და მოსწავლეს, სასწავლო მიზნებისათვის შეუძლია გამოიყენოს შესაბამისი ტექნიკა (სულ სკოლის ბალანსზე 15 კომპიუტერია), რომლებიც ჩართულია ინტერნეტ ქსელში. გარდა ამისა, სკოლას აქვს პრინტერები (სულ 2), რომლებიც გამოიყენება როგორც სასწავლო მიზნებისთვის, ისე საქმისწარმოებისათვის. გარდა ამისა, სკოლას აქვს ვებ. გვერდი - http://www.skolagimnazia.ge/ka/pedagogebi.html რომელსაც საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქცია აქვს. სკოლის ინტერნეტ პროვაიდერია სს ,,სილქნეტი“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით; კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; დომენის წლიური საფასურის გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალება; ჰოსტინგის მომსახურების გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალება. საგადახდო დავალება - ს/ს სილქნეტის სატელეკომუნიკაციო მომსახურების ანაზღაურების თაობაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის სტენდი. სამივე სართულზე. კედლებზე დამაგრებულია 2-2 ფხვნილოვანი ცეცხლმაქრი. გამოკრულია მათი გამოყენების წესები. 2018 წელს, ოქტომბერში სამივე სართულის ყველა ოთახში დამონტაჟდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის დეტექტორები. შენობა უზრუნველყოფილია საევაკუაციო კიბით, აქვს ორი გასასვლელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები. ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ყველა სართულზე, კიბის ასასვლელ-ჩასასვლელის მიმდებარედ, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულია სკოლის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (სამედიცინო საწოლი, საკაცე, კარადა მედიკამენტებისათვის, აუცილებელი მედიკამენტებითა და სახარჯი მასალით). სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას ჰყავს დიპლომირებული ექიმი-პედიატრი. სკოლა უზრუნველყოფს სამედიცინო პერსონალს პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობას, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი სერტიფიკატები. სკოლის ექიმი არის უმაღლესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სამედიცინო განათლების მქონე პირი, აქვს პედიატრად მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი, თუმცა ის არ ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს (საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 2022 წლის 21 მარტი - ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სტრუქტურული ერთეულების დებულებები. საშტატო განრიგი, ხელშეკრულება. უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, სერტიფიკატები. ინტერვიუ. ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი. სასწავლებელში ხელშეკრულებით დასაქმებულია პირი, რომელიც აკონტროლებს შენობის I სართულსა და ეზოში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებას. დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან გაფორმებულია ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაცვის პოლიცია მოახდენს რეაგირებას სიგნალიზაციის მეშვეობით მიღებული განგაშის შემთხვევაში. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	პირობები, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ხელშეკრულებები, სასაქონლო ზედნადები, გადახდის ქვითრები. სტრუქტურული ერთეულების დებულება. საშტატო განრიგი. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი. ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 5 ერთეული, ხოლო შიდა პერიმეტრს 11 ერთეული ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, რომლებიც შეესაბამება ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა, ვიზუალური დათვალიერება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობათა დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი წესდება, სკოლის შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულება. ექსპერტები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და რიგ საკითხებთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს რეკომენდაციები (გარკვეულ შემთხვევაში, წესდება და შინაგანაწესი იდენტურ ჩანაწერს მოიცავდა ქვემოთ მითითებული საკითხების შესახებ). კერძოდ, წესდებაში აღნიშნული იყო, რომ მოსწავლე, რომელიც ვერ ჩააბარებს გამოცდებს, ან სწავლის პროცესში სასწავლო მასალას ვერ დაძლევს, შესაძლოა გაირიცხოს გიმნაზიიდან. გიმნაზიიდან გარიცხვას ექვემდებარება, აგრეთვე მოსწავლე არასაპატიო მიზეზით გაცდენის რამდენიმე შემთხვევის საფუძველზე (წესდება, ქვეთავი - ,,გიმნაზიის საქმიანობის საგანი, სტრუქტურა, სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესი და კონტიგენტი“, პუნქტი 10 და 11). ექსპერტებმა განუმარტეს სკოლის წარმომადგენლებს, რომ დაუშვებელია დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა (სკოლა ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას - კონსტიტუციით გარანტირებული ზოგადი განათლების მომსახურების მიწოდებას. აგრეთვე, აღნიშნულს არეგულირებს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 19, პუნქტი 12[1]), გარდა ამისა, ექსპერტებისათვის მიუღებელი იყო გარიცხვის საფუძველიც. წესდებაში მოცემული იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც, მოსწავლის გადასვლა სხვა სკოლაში შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ გააჩნდა ფინანსური დავალიანება. ვინაიდან, ამ საკითხს უკვე არეგულირებს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33[2] - ,,კერძო სკოლის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ“), აღნიშნული ჩანაწერი აღარ იქნება მიზანმიმართული. ექსპერტების რეკომენდაცია გაიზიარა სკოლამ წესდების V მუხლთან დაკავშირებითაც (ქვეთავი - ,,გიმნაზიის საქმიანობის საგანი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სტრუქტურა, სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესი და კონტიგენტი“), რომელიც არეგულირებს მოსწავლეთა მობილობას. მაგალითად, XII კლასის მოსწავლეს მობილობაზე უარი შეიძლება ეთქვას იმ მიზეზით, თუ ,,იგი არ გამოავლენს წინა კლასებში ნასწავლის სერიოზულ ცოდნას (რაც, ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N193/ნ, 19.09.2012წ. ბრძანების ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის, მე-5 პუნქტს). ამასთან, წესდება შეიცავდა ბევრ ისეთ საკითხს, რომლებიც შინაარსობრივად შეესაბამებოდა და აღწერილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმასა და შინაგანაწესში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ამ თვალსაზრისით შესაბამისობაში მოეყვანათ სკოლის წესდება. სკოლის წარმომადგენლებმა სრულად გაითვალისწინეს ექსპერტების რეკომენდაციები და ვიზიტის პერიოდში შეიტანეს ცვლილებები სკოლის წესდებაში და შეიმუშავეს კორექტირებული დოკუმენტი. ექსპერტებს შენიშვნები ჰქონდათ შინაგანაწესთან მიმართებითაც. კერძოდ, შინაგანაწესში სემესტრის დაწყებისა და დამთავრების გრაფიკი და არდადეგების პერიოდი არ იყო დაზუსტებული და მოცემული იყო სავარაუდო პერიოდი (მუხლი IX, პუნქტი 2). სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაეზუსტებინათ ვადები (გარდა ამისა, ვინაიდან სასწავლო წლის რეჟიმი ყოველ სასწავლო წელს მტკიცდება სასკოლო-სასწავლო გეგმის საფუძველზე, აღნიშნული შინაარსის პუნქტების საჭიროება დოკუმენტში აღარ გამოიკვეთა). ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, შინაგანაწესში ტერმინის ,,სასჯელი“ ნაცვლად გამოყენებული ყოფილიყო ტერმინი ,,სახდელი,, (მუხლი XV.). სკოლამ ექსპერტების რეკომენდაცია სრულად გაიზიარა შინაგანაწესის იმ ნაწილთან დაკავშირებითაც (მუხლი XV, მე - 13 პუნქტი), რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის იერსახეს. შინაგანაწესში სკოლას, ასევე, არ ჰქონდა დაკონკრეტებული სკოლაში მასწავლებლების მიღების წესი და პროცედურები. ვინაიდან, შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მასში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული სკოლაში მასწავლებლის მიღების პირობები. ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია სკოლას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	იხელმძღვანელონ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით №174/ნ, 20/08/2019წ. ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ და შესაბამისი რეგულაცია ასახონ დოკუმენტში. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის პროცედურების შესახებ. ვინაიდან, შინაგანაწესი საჯარო დოკუმენტია, სკოლამ უნდა შეიმუშავოს კორექტირებული ვარიანტი, ყველა ცვლილების გათვალისწინებით (მათ შორის, ახალი რედაქციით შინაგანაწესი უნდა აიტვირთოს სკოლის ვებ.გვერდზეც).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის წესდება (მათ შორის კორექტირებული), შინაგანაწესი, ბრძანება შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებების შესახებ. კონკურსის პროცედურები და მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. გრძელვადიანი გეგმა შემუშავებული იყო 2017-2022 წლებისთვის. ვინაიდან, წინა ავტორიზაცია სკოლამ გაიარა 2016 წელს, ახალი გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმის ათვლა სწორედ 2016 წლიდან უნდა დაწყებულიყო და დასრულებულიყო 2022 წელს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია და მან ვიზიტის პერიოდშივე შეიტანა გრძელვადიან გეგმაში თარიღთან დაკავშირებული ცვლილებები. გეგმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი - გრძელვადიანი განვითარების გეგმა გულისხმობს მუშაობას შემდეგი მიმართულებებით: სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება, სკოლის მართვის მექანიზმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	დახვეწა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ადამიანური რესურსის განვითარების უზრუნველყოფა, მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, სწავლა სწავლების პროცესის სრულყოფა, კათედრების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, უსაფრთხო გარემოს შექმნა, არაფორმალური განათლების გარემოს ჩამოყალიბება, სკოლის პარტნიორული ურთიერთობების დამყარება უცხოურ სკოლებთან და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან, თანამშრომლობითი სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება. მიუხედავად ასეთი ფართო და მრავალფეროვანი ჩამონათვალისა, გიმნაზიის განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის დანართში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სკოლის კეთილმოწყობაზე და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებაზე. 2021-2022 წლისთვის დასახულია შენობის გარე ფასადის რეაბილიტაცია და ეზოს კაპიტალურად შეღობვა. 2021-2022 წლის ერთწლიან გეგმაში მოცემული აქტივობები გაცილებით მრავალფეროვანია, მოიცავს როგორც სწავლა-სწავლების პროცესს, ასევე ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებას, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის აქტიურ ამოქმედებას და მისთ. გრძელვადიან გეგმაში არ იყო დაკონკრეტებული პასუხისმგებელი პირი კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეიტანა ცვლილებები გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის პერიოდის თვალსაზრისით, განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (მათ შორის, კორექტირებული ვერსია).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი; დირექტორის ბრძანებები აკინძულია საქაღალდეში; ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქული, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	სკოლიდან გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქული; აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა. მოსწავლეთა ანბანური წიგნი – მითითებულია მოსწავლის დაბადებისა და სკოლაში შემოსვლის თარიღები, კლასი, ბრძანების ნომერი, პირადი საქმის ნომერი. აღნიშნული წიგნი აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქული; აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა. სკოლას გააჩნია მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები, აქვს ელექტრონული რეესტრი. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქული - აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა. დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევაში პროცესი მიმდინარეობს ხარვეზებით, კერძოდ, ბრძანებები არ არის შედგენილი სათანადო წესით (მათ შორის, არ არის შესრულებული სატიტულო ფურცელზე), რითაც დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ბრძანებების წიგნი; ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალები; მოსწავლეთა ანბანური წიგნი; მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები, ელექტრონული რეესტრი; პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები; შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებები; ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს მისიითა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მასწავლებელთა ბაზა. რომლის მიხედვით სკოლაში სწავლა - სწავლების პროცესს ახორციელებს 23 მასწავლებელი. მათგან 4 არის წამყვანი მასწავლებელი, 13 - უფროსი მასწავლებელი, 3 მაძიებელი მასწავლებელი, 2 მოწვეული და 1 შემცვლელი მასწავლებელი. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის სკოლას ასევე ჰყავს: დირექტორი, კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი-პედიატრი, ბიბლიოთეკარი, საქმის მწარმოებელი, ბუღალტერი. დამლაგებელი, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მუშაკი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საშტატო განრიგი, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	23
მოწვეული/მაძიებელი	2/3
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
შემცვლელი მასწავლებელი	1
უფროსი მასწავლებლი	13
წამყვანი მასწავლებლი	4
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში თითოეულ პედაგოგზე გახსნილია პირადი საქმე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაცემების შესახებ, განათლებისა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციას, მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელ სერტიფიკატებს. ცნობებს ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენილი ნასამართლობის შესახებ; ტრენინგების გავლის დამადასტურებელ ცნობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამონაწერი; მასწავლებლის პირადი საქმეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში თანამშრომლების მიღება, გათავისუფლება, წახალისებისა და სანქციების სისტემის ამოქმედება ეფუძნება სკოლის შინაგანაწესში აღწერილ პროცედურებს. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას არ ჰქონდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	წარმოდგენილი კონკურსის მკაფიოდ გაწერილი პროცედურები და ვიზიტის მსვლელობისას მიეწოდათ ექსპერტებს. კერძოდ, მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ სკოლა ინფორმაციას განათავსებს http://teacherjobs.ge/-ზე, საიდანაც გამოხმაურების შემთხვევაში ხდება მასწავლებლობის კანდიდატთან გასაუბრება და შესაბამისი პროცედურების დაცვით კონკურსის ჩატარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი; მასწავლებლების კონკურსით მიღების წესი და პროცედურები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სახელშეკრულებო ვადის, დაკავებული თანამდებობის, თანამდებობრივი განაკვეთის, სახელფასო განაკვეთის, ფაქტობრივად ჩატარებული სამუშაოს ანაზღაურების მითითებით. მასწავლებლების ხელშეკრულებების ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ მიუხედავად სტატუსისა, ყოველ მათგანთან შედგენილი იყო იდენტური ხელშეკრულება. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მისცეს რეკომენდაცია, შეიმუშაონ ხელშეკრულების თანმდევი შეთანხმება, რომელშიც აღიწერება სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ვიზიტის მსვლელობისას შეიმუშავა შეთანხმებები სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მასწავლებლების ხელშეკრულებები (მათ შორის შეთანხმებები), ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებილი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლებლის დირექცია ზრუნავს პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე. დროულად ხდება ყველა სიახლის მიწოდება, რაც განათლების სისტემაში მიმდინარეობს. გიმნაზიაში არის სათანადო მეთოდური ლიტერატურა, რომელიც ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას. შემუშავებულია სკოლა-გიმნაზიის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. ინტერვიუ პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შექმნილია დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომლების თვითრეალიზაციას, ასევე სკოლაში პასუხისმგებლობების გადანაწილებას. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება აქვს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. სკოლაში ყველა პრობლემის გადაწყვეტა ხდება გუნდურობის პრინციპით. დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია, კათედრებთან ერთად, ხელს უწყობენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას – წარმატებული საგანმანათლებლო პრაქტიკის შესახებ ლიტერატურის გაზიარებით, პროფესიული განვითარებისათვის რეგულარული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	შესაძლებლობების უზრუნველყოფით, კათედრის შიგნით და კათედრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობითა და მასწავლებლების შეხვედრებისთვის დროის გამოყოფით და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სტრუქტურული ერთეულების დებულება, კათედრის დებულება, ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 451 (ოთხას ორმოცდათერთმეტი) გვერდი

....

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი 10.05.2022
გვერდების რაოდენობა 44 (ორმოცდაოთხი) გვერდი.

44

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.